ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 33 თებერვალი 12, სამშაბათი 1891 თებერვალი 12, სამშაბათი № 33

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას გუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისთვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

В Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ახალი ამბავი

⁂ ბ-ნ ზ. ჭიჭინაძეს დაუწყია ბეჭდვა თ. ალ. ორბელიანის დრამისა, რომელსაც სახელად ეწოდება „დავით აღმაშენებელი“ და რომელიც დაუწერია ავტორს 1846 წელს. თ. ალ. ორბელიანის ნაწერები 1878 წ. იქმნა დაბეჭდილი ორ წიგნად, მაგრამ ამ ნაწერებში არ მოჰყოლია ზემოხსენებული დრამა.

⁂ ამ დღეებში „წიგნების ბეჭდვის ქართულ ამხანაგობას“ მოსვლია ბ-ნ ივ. როსტომაშვილისაგან 40 ზღაპარი, თელავში შეკრებილი. ამხანაგობის გამგეობას იმედი აქვს, რომ სხვანიც ბევრნი მიჰბაძავენ თ. რაზიკაშვილისა და ივ. როსტომაშვილის მაგალითს, თანაგრძნობით მოეკიდებიან მის დაწყებულს საქმეს და დროთი და ბლომად მიაწოდებენ ამ გვარს მასალას საერო სიტყვიერებისას.

⁂ სოფ. კავთისხევი (გორის მაზრა): ჩვენსკენ ძალიან გახშირდა წვრილმანი ქურდობა. ქურდები ქათმებისა და ინდაურების პარვასაც-კი არ ერიდებიან. ამ დღეებში ერთს მარანი გაუტეხეს და დიდი ქვევრი მოუხადეს. რაც წაეღოთ ღვინო, ხომ წაეღოთ, და რაც არა, მიწით ისეა გაფუჭებული, რომ გრომად აღარ ვარგა. ეჭვი ამ ქურდობისა ორს აქაურს მცხოვრებელზე აქვს მიტანილი დაზარალებულს მარნის პატრონს და ენახოთ, საქმე როგორ გათავდება.

⁂ კაჯკაჯი: იანვრის გასულს, კავკავს ახლო, ერთის სადგურის პირას დაეცნენ სასმელების დუქანს ქისტები გასაქურდავად, ესე ღამის 2 საათზედ. ექვსნი შეიარაღებულნი იყვნენ და თან მარხილიცა ჰქონდათ. დუქნის პატრონი დუქნის უკანა ოთახში ყოფილიყო, ავაზაკებს გაეტანათ დუქნიდამ ყოველივე საქონელი და ტომრებით დაეწყოთ მარხილზე. მერე ეფიქრათ, დუქნის პატრონიც მოვკლათო, და შევარდნილიყვნენ უკანა ოთახში. ამ დროს ესროლა თოფი დუქნის პატრონს, ერთი ავაზაკი იქვე მოეკლა, ხოლო მეორე მძიმედ დაეჭრა. მაგრამ თავადაც-კი მსხვერპლი შეიქმნა ავაზაკებისა, რომელნიც მალე გარედ გამოცვივდნენ, გადმოჰყარეს საქონელი, თავიანთი მკვდარი და დაჭრილი დაუდვეს ზედ და გაეშურნენ. მეორე დილით ადრიან დაედევნა მდევარი კვალზე, რადგან თოვლი იყო და ცხადად ეტყობოდა გზა-გზა სისხლი დაჭრილისა. ავაზაკებს მკვდარი გზაში დაეგდოთ, დაჭრილი-კი მიეყვანათ თავის სოფელში. ამ საქმის გამო რამდენიმე კაცია შეპყრობილი და გამოძიება სწარმოებს.

⁂ შემახია: ამ რამდენისამე თვის წინად შემახიაში მცხოვრებმა ქართველობამ განიზრახა წარმოდგენის გამართვა წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის სასარგებლოდ. ქართულის წარმოდგენის გამართვა რომელისამე საქველ-მოქმედო განზრახვით თვით საქართველოშიაც ადვილი მოსახერხებელი არ არის და ასეთ ადგილას ხომ, სადაც მხოლოდ ხუთი-ექვსი ქართველთ სახლობა ძლივს მოიპოვება, ეს საქმე სწორედ მეტის-მეტად საძნელოა. მაგრამ ქართულის სცენის მოყვარულნი არ შეუშინდნენ ამ გარემოებას და, თუმცა ბევრი დაბრკოლება დახვდათ, მაინც თავისი გაიტანეს. ამ საქმის მეთაურობა იკისრა ბ-მა ს. გამრეკელმა, რომელმაც ყოველი ღონის-ძიება იხმარა და თავისი განზრახვა შეასრულა კიდეც: 30 იანვარს აქაურ კლუბის დარბაზში გაიმართა ქართულ-რუსული წარმოდგენა ზემოხსენებულის სკოლის სასარგებლოდ. ითამაშეს ქართულად „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ!“, კომედია ავ. ცაგარელისა, და რუსულად „Домовой шалитъ“. როგორც ქართულმა, ისე რუსულმა წარმოდგენამ მშვენივრად ჩაიარა. სასიამოვნოა ის გარემოება, რომ ზოგიერთნი რუსულის სცენის მოყვარულნი სრულის თანაგრძნობით მიეგებნენ ამ საქმეს, დიდის სიამოვნებით მიიღეს მონაწილეობა წარმოდგენაში და არ დაჰზოგეს დრო და შრომა კეთილის საქმისათვის. წარმოდგენა დასრულდა მშვენიერის ლეკურით, რომელშიაც თავი იჩინეს კნიაჟნა ა. გ-ვ—სამ და ვ. წ—ძემ. ამ საღამოზედ მოწვეული იყო აქაურის პოლკის სამხედრო მუსიკა, რომელიც წარმოდგენის გათავებამდის უსასყიდლოდ დაუთმო პოლკის უფროსმა ბ-ნმა ვ—კომ, და საზანდარი. დამსწრე საზოგადოებამ ძალიან ისიამოვნა წარმოდგენით: ტაშის კვრასა და „ბრავოს“ ძახილს საზღვარი არ ჰქონდა. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ცეკვა, რომელმაც გასტანა ღამის სამ საათამდე. ბილეთები გაიყიდა სულ 110 მანეთისა.

⁂ აფხაზეთის ერთ-ერთ სოფელში, საიდამაც უკანასკნელის რუს-ოსმალოს ომს შემდეგ მკვიდრნი გადასახლებულან მცირე-აზიაში, დასახლებულან ანატოლიიდგან მოსულნი სომეხნი. შემდეგ წინანდელი მკვიდრნი ისევ დაბრუნებულან თავიანთ სამშობლოში და, რაკი უნახავთ, რომ ჩვენი მამულ-დედული სხვას დაუჭერიაო, თავიანთ სოფლის მახლობლადვე დამკვიდრებულან. მამულების შესახებ აფხაზებსა და სომხებს რამდენჯერმე ჩხუბი მოსვლიათ. წელს აფხაზთ ძალა უხმარნიათ და ნება აღარ მიუციათ სომეხთათვის თავიანთ წინანდელ მამულებისა და მინდვრების მოხვნისა. ამაზედ მოსვლიათ დიდი ჩხუ-

ფელეტონი

ათაბაგნი ბექა და აღბუღა

და

მათი სამართალი.

X*)

აღბუღა ამბობს, ოჯახის უფროსი მამაა და უფლებაც იმას აქვს შვილებზედაო. ხოლო იგი უფლება ისეთი განუსაზღვრელი არ იყო, როგორც, მაგ., რომში, სადაც მამას ნება ჰქონდა შვილი მოეკლა, გაეყიდა და სხ.[152]. სჯულ-მდებლობის ისტორიიდგან სჩანს, რომ საგვარეულოს წყობილების დროს შვილი მამის სახლში პირადად სრულიად დაჩაგრული ყოფილა და მხოლოდ ცოტაოდენი უფლება თუ ჰქონია სამამულოსა და სასაქონლოზე. საოჯახო განვითარება და წინ-მსვლელობა იმაში მდგომარეობდა, რომ შვილს თავისუფლება მოეპოვა და ყოველ გვარი უფლება შეეძინაო[153]. საათაბაგოს განვლილი ჰქონდა საგვარეულო წყობილება და შვილიც პირადად და ქონებრივად უფლებას მოკლებული არ იყო. ეგრედ წოდებულ გაძევებას გარდა მამას სხვა გზით ვერ შეეძლო შვილის საოჯახო უფლება უარ-ეყო. გაძევებაც არ სწარმოებდა ისე მკაცრად და სასტიკად, როგორც ბარბაროსულ და საგვარეულო წყობილების დროს სწარმოებს[154]. იგი ნიშნავდა მარტო უმამულოდ და უსარჩოდ რაიმე „შეცოდებისათვის“ შვილის სახლიდგან გაგდებასა და მოკვეთას: თუ რომელიმე შფოთი და ავ-ხასიათიანი შვილი მამას „ევკალება“, ნება აქვს თავიდამ მოიშოროს და მამულზე ხელი აალებინოსო. მაგრამ აღბუღა ადგენდა, ამ სასჯელსაც გასინჯვა და გამონახვა ესაჭიროება და მამამ შვილი მიხედვით არ უნდა გააძეოსო. ამას გარდა, თუ გაძევებული კარგად მოიქცევა, „თავმთნოედ“ მოეპყრობა მამასა, „რა მამა გარდახდეს (გარდაიცვალოს), მამულისა მოსაქმეობასა ვერვინ მოუშლისო“. მაგრამ თუ არ დასცხრა, მამას ისევ „ევკალა“, „ნურავინ რას ასაქმებინებს მამულსა თანაო“ (მუხ. ნთ). საათაბაგოს გაძევება საზოგადო და უძველესი ჩვეულებაა, რომელსაც მისდევდნენ ინდოელნი, რუსნი და სხ. ეხლაც ვპოვებთ ამ ჩვეულებას ოსებში[155].

აღბუღა სხვა გვარ გაძევებასაც აღწერს, სახელდობრ, როცა „ძმამან ძმა ანუ მეყვისი გააძოს და მამულისაგან გააბეზროს“. ეს მეორე გაძევება სულ სხვაა და პირველთან საერთო არა აქვსრა. ძმისაგან ძმისა ანუ მეყვისის გაძევება დანაშაულობას შეადგენდა და ამიტომ სამართალი აწესებდა, როცა ასეთმა გაძევებულმა „რაგინდარა გარეთით აწყინოს, ნუცარად მიეთვლებისო“. ეს კიდევ არაფერი: თუ გაძევებული სახლში დაბრუნდება, „მამულის მოსაქმე“ შეიქნება, შეუძლიან გამძევებელს „საუწესო“ გადაახდევინოსო (მუხ. მთ). მაშასადამე, ძმისაგან ძმისა და მეყვისის გაძევება საოჯახო დანაშაულობა იყო, მამისაგან შვილის გაძევება-კი წესისა და რიგის აღმადგენელი სასჯელი—ოჯახის მამას ეკუთვნოდა.

ცხადია, რომ საათაბაგოში გაძევება ალაგმული და ფრთებ-შეკვეცილი ყოფილა. პირველ დროს, როცა საგვარეულო წყობილება არსებობს, გაძევება გვარის მოვალეობაა. მამული მთლად გვარს ეკუთვნის და ბოროტ-მომქმედი გვარმა უნდა გააძოს და არა კერძო კაცმა, თუნდა იგი კაცი ოჯახის უფროსიც იყოს. მაშინ გვარის კაცს, გაძევებას გარდა, სხვა სასჯელი არა სდევს. ასე გასინჯეთ, თვით უმძიმესი დანაშაულობაც-კი, როგორც, მაგ., მამისა, შვილის და ძმის მოკვლაა, სისხლის დაურევებას არ თხოულობს და მხოლოდ ბრალდებულის გარდახვეწით უნდა გათავდეს. კერძო კაცის დანაშაულება მთლად გვარის დანაშაულებაა და გვარი ხომ თავისს თავს სისხლს არ დაუურევებსო[156]. საათაბაგოში გაძევებას სხვა ხასიათი და თვისება ჰქონდა. პირველად, რომ იქ გაძევება მამის საქმე იყო და არა გვარისა, მეორედ— აღბუღა გაძევებას არ სჯერდებოდა და სხვა სასჯელსაც სდებდა საოჯახო ბრალს. მაგალითებრ, ძმისა და მეყვისის მკვლელს იგი გაძევებას არ აკმარებს: ასეთი ბოროტ-მოქმედი „ამა სოფელსა ძლივს-ღა ინახვის კაცთაგან“, „არავისგან მოხსენება უნდა“, მაგრამ ორ-კეცი სისხლიც უნდა გადახდესო (მუხ. კგ). ძმობას და ნათესაობას განუვლია საგვარეულო დრო და ქრისტიანულს მოძღვრებას გავლენა და მნიშვნელობა მოუპოვებია. სამართალი წყევითა და კრულვით სდევნის ძმისა და მეყვისის (ნათესავის) მკვლელობას, — იგი მკვლელობა „საღმრთოდ ბრალია და საკანონო არის ას კეციო“. დიდის რისხვითა და წყრომით გრგვინავს ეკკლესია მეტადრე ძმის ღალატით მკვლელობის გამო, — „ვინცა უშველოს და შეიწყნაროს, კრულ და წყეულ, შეჩვენებულ იყვნო“ (მუხ. რჲბ). მოკვლას გარდა, სამართალი სასტიკად ეპყრობოდა ყველას, ვინც ძმას თვალებს დასწვავდა და ასოს მოჰკვეთდა (მუხ. რჲ.).

ოჯახს ნაშვილებიც ეკუთვნოდა. სამართალი ნაშვილებს ერთ-სახლიანს უწოდებს და ეს გარემოებაც ამტკიცებს, რომ საათაბაგოს შინაური ცხოვრება შორს იდგა საგვარეულო წყობილებაზედ. შვილად აყვანა განვითარებულის ცხოვრების შედეგია და სრულიად არ შეესაბამება ასეთს პირვანდელს საგვარეულო ცხოვრებას, როგორც, მაგ., ხევსურეთის ცხოვრება[157], სადაც შვილებულება უარყოფილია. საათაბაგოს ნაშვილები უფრო რომაელებისას მიაგავს[158], თუმცა თავისებურობაც ეტყობა.

აღბუღა ამბობს, მამას ნაშვილების გაძევებაც ძალ-უძს, მაგრამ ამ შემთხვევაში ისე უნდა მოიქცეს, როგორც ნამდვილ შვილის შესახებაო. თუ ნაშვილები „ღალატს და შეცოდებას თავხებოდით“ არ მოინანიებს, არც მამული ერგებაო. აღბუღა არ იხსენიებს: ქალსაც ნება აქვს ვინმე შვილად აიყვანოს და თითონ იმის შვილად აყვანა შეიძლება, თუ არაო. ყველა ამას არც რომაელების სამართალი იხსენიებდა, მაგრამ რომში ნაშვილები უფლებით დაბლა იდგა ღვიძლ შვილზედ, საათაბაგოში-კი თანასწორი იყო. განსხვავებაც სწორედ ამაში მდგომარეობდა.

ნაშვილებისაგან განირჩეოდა შვილებული სიძე, ჩვენ დროს წოდებული ზედ-სიძედ. შვილებულების პირვანდელი და უწინარესი ფორმა საგვარეულოა. საგვარეულო შვილებულება კიდევ იმას ნიშნავს, რომ შვილად აყვანა მთელ გვარის ნება დაურთველად არ შეიძლება და თითონ ნაშვილები უცხო გვარისა არ უნდა იყოს[159]. საათაბაგოს სიძის შვილებულებას სხვა აზრი და მნიშვნელობა აქვს და რუსეთის ჩვეულებას უფრო მიაგავს, სადაც ზედ-სიძეს ეკონომიურად უცქე-

---

*) იხ. „ივერია“ № 23.

[152] Зомъ, Институціи Римскаго Права, 311—314.

[153] ibid. 314—5.

[154] Совр. Об. и др. Зак. II. 165—174.

[155] Совр. Об. и Древ. Зак. I. 170—1.

[156] Зак. Об. на Кав. I. 39—41, II. 264—265.

[157] Зак. и Об. на Кав. II. 4—5.

[158] Зомъ, 309—311.

[159] Первобытное Право, I. стр. 161—2. ეხლაც ხევსურეთში მარტო გვარის კაცს იშვილებენ ხოლმე, Зак. и Об. на Кав. II. 111.

ბი. ჩხუბში სამი კაცი სომეხი დაუჭრიათ აფხაზებს და სამი კაცი აფხაზი კიდევ სომხებს დაუჭრიათ. ამ საქმეზე გამოძიება დანიშნული (გაზ. „ნოვ. დარი“).

*** თებერვლის 10, საღამოს 9 საათზე, ქაშვეთის ქუჩაზე, პეტერბურგის სასტუმროს შესავალ კარებთან, იპოვნეს ორის დღის დაბადებული მიგდებული ბავშვი და საბავშვო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** ამ თვის 9 ალექსი სარდაროვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ ხალათოვის ქარვასლაში სხვა-და-სხვა დროს 103 ცალი თხის ტყავი მოიპარეს, ღირებული 103 მანეთადაო. დამნაშავე ამ საქმეში აღმოჩნდა სპარსელი ალი-მაშადი-ოღლი, რომელიც შეიპყრეს, 50 ტყავი უპოვნეს და პატრონს გადასცეს.

*** 8 თებერვალს პოლიციის პირველს ნაწილში ცოფიანმა ძაღლმა დაჰკბინა ჯარის-კაცად ნამყოფი გრიგოლ ებიტოვის შვილი. ძაღლი მოჰკლეს და ბეითალს წარუდგინეს გასასინჯად, დაკბენილი კი საბაქტერიოლოგიო სადგურში გაჰგზავნეს.

◆◆

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ჩვენს გაზეთში არა ერთხელ ყოფილა დაბეჭდილი წერილი სოფლის მასწავლებელთა უბედურ, სამწუხარო მდგომარეობის შესახებ. ორ თუმანს იღებს თთვეში, იმასაც ხშირად, ძალიან ხშირად დიდის გაჭირვებით, და მთელი თთვე-კი დილიდგან საღამომდე შრომასა და ჯაფაში უნდა იყოს სოფელში გამოკეტილი. ამას კიდევ ვინა ჩივის, საბოლოოდ უზრუნველ-ყოფილი რომ ჰქონდეს მაინც სიბერე და მოხუცებულობა. ასე უნდა იშრომოს რამდენსამე წელიწადს, მანამ ძალა და ღონე შესწევს, ოცს-ოც-და-ათს წელიწადს, და იმდენი ჯილდო იღოს თავ-ისის შრომისათვის, რამდენიც მხოლოდ საზრდოდ და სახარჯოდაც ძლივს გასწვდება. მერე სიბერე წამოესწრობა, დაუძლურდება, დაბაბუნდება, შრომას ვეღარ შეიძლებს, არც უწინდელ მცირე ჯილდოსი აქვს შავის დღისათვის გადადებული და მშიერი უნდა დარჩეს, ხელ-მოკლედ, უბედურად. ნუ თუ ამაზედ უარესი იქმნება-და ქვეყნად რამე, რომ ხალხის განათლებას ემსახურებოდე, ეს საქვეყნო ჭაპანი სწიო რამდენსამე წელიწადს მხოლოდ ლუკმა-პურისათვის და შემდეგ, მოხუცებაში, ეს ლუკმა-პურიც აღარ მოგაწოდონ იმ საბუთით, რომ სიბერე მოგერია, ძალა და ღონე გამოგეცალა და აღარ ვარგიხარ, შრომა და მუშაობა აღარ შეგიძლიანო. რა გაჭირვებულს მდგომარეობაშიაც არის სოფლის მასწავლებელი, ამას აშკარად ამტკიცებს წერილი ერთის სოფლის მასწავლებლისა, „Новое Время“-ში დაბეჭდილი. აი ეს მასწავლებელი რასა სწერს:

„ცხოვრების უფსკრულის ნაპირზედა ვდგევარ. წლიწად ნახევარია ავად ვარ გულის ტკივილით და ისე გავღარიბდი, რომ მეტი სიღარიბე შეუძლებელი-ღაა. ორი გზა-ღა დამრჩენია—ან სიმშილით სული უნდა ამომერთვას და ან საგლახაოდ ხელი უნდა გავიწოდო. მაგრამ ესეც არ შემიძლიან, რადგან ლოგინადა ვარ ჩავარდნილი და ადგილიდგან ვერ დავიძრები. ასეთი ბედი მხვდა ათის წლის მასწავლებლობას შემდეგ. ყველასაგან უარ-მოყრუებული, დავიწყებული და მიგდებული ვარ. ღმერთო, შენ მომეც მოთმინება“ (დეკემბერი 1890 წ.).

კიდეც ეს სასოწარკვეთილი მდგომარეობა იყო და არის იმის მიზეზი, რომ არა ერთხელ ჩამოვარდნილა ლაპარაკი, სოფლის მასწავლებელთათვისაც დაიმართოს საპენსიო კასსა მთავრობამაო. ჯერ კიდევ ამ ორის წლის წინად დერპტის სამოსწავლო ოლქში გაისმა ხმა, რომ განზრახვა აქვთ ასეთი პენსიაც შემოიღონო, და დიდად აღელვა მასწავლებელნი, ქალნი და კაცნი. „Новое Время“-ს ეხლა გაუგონია, რომ კვლავ აღიძრა ლაპარაკი საემერიტურო კასის დაარსების შესახებაო. გაზეთი ამ ამბავს, როგორც მოსალოდნელიც იყო, დიდის სიამოვნებით ეგებება და ამბობს, რომ

აუცილებლად საჭიროა ერის განათლებისათვის ვიზრუნოთ, მაგრამ ყველამ ვიცით, რა მძიმეა ტვირთი სოფლის მასწავლებლისა. ძალიან ხშირად ეს მასწავლებელნი მარტოდ-მარტონი ჰშრომობენ ისეთ მივარდნილს და მიყრუებულს ადგილებში, სადაც იმათ მისვლამდე წერა-კითხვის მცოდნე ადამიანის ხსენებაც არა ყოფილა. ყველას ისინი ემსახურებიან, ყველასაგან ისინი არიან დამოკიდებულნი. ყველა სოფლის მწერალს თავისი თავი ამ მასწავლებლის უფროსად მიაჩნია და არა უმცროსად—მუშას დროზედ არ მიაშველებს სასწავლებელში, ჯამაგირს დაუჭერს და სხ. ამას გარდა დიდად ადვილის ბეზღობით მასწავლებელს ჰნება მიაყენოს, თუნდა საბეზღებელი მიზეზი და საბაბიც სულ არა ქონდეს-რა.

ასეთს ცხოვრებას მხოლოდ ახალგაზრდა კაცი თუ აიტანს, ერთად ერთი, იმ თავითვე შეჩვეული შრომასა და ღარიბად ცხოვრებას. სოფლის მასწავლებლები-კი მართლაც იმ თავითვე შეჩვეულნი არიან ასეთს ცხოვრებას, საოსტატო სემინარიებშივე, სადაც სამს წელიწადს სწავლობენ თითქმის და თთვეში მხოლოდ რვა მან. ჰხარჯავენ.

მაგრამ აგერ მასწავლებელმა ცოლი შეირთო, დაწვრილშვილდა, ხარჯმა ერთი ათად იმატა, მაგრამ ჯამაგირმა-კი ერთი ორადაც არა. რა ეშველება, რა დღე მოელის მაშინ, როცა დაბერდება, ღონე და ჯანსაღი გამოელევა ამ წვრილშვილიანს კაცს? სიღარიბე.

როცა საქმე ასეთს მდგომარეობაშია ჩავარდნილი, როგორ არ გაექცეს ამ სამსახურს კაცი, მანამ დრო აქვს და უნარიც შესწევს, რომ სხვა რამ საქმეს მოჰკიდოს ხელი. თხუთმეტიოდე წლის შემდეგ, ძალიანაც რომ უნდოდეს, ხელობას ვერ გამოიცვლის: ჯერ ერთი ყველაფრით ჩამორჩება სხვებს სხვა საქმეში და მეორე, არც იმდენი ჯანი და ღონე-ღა ექნება.

საპენსიო კასსის დაარსება თვით სახელმწიფოს სარგებლობისთვის არის საჭირო. საჭიროა, რომ მასწავლებელი სულითა და გულით ეტანებოდეს და ერთგული იყოს თავისის საქმისა, მერმისს არხეინად მოელოდეს და ეს სიმშვიდე სულისა თავისს შვილებსაც გადასცეს. დიდის მადლობის ღირსი შეიქნება სახალხო განათლების სამინისტრო, ასეთი კასსა რომ დაარსოს.

ამას გარდა სოფლის მასწავლებელს სულ სხვა რიგი, სხვა მნიშვნელობა მიეცემა სოფელში, როცა გაიგებენ, რომ ამ კაცს სამსახურისათვის პენსიას აძლევენო.

ეს კასსა იმდენად საჭიროა, რომ სანამ იგი შემოღებული არ იქნება, ჩვენის აზრით, არც ერთი ნიჭიერი კაცი არ იკისრებს სოფლის მასწავლებლობას, განათლების საქმე ჭოჭმანით ივლის, კუს ნაბიჯით, ტაატით, და სოფლის მასწავლებლობას მხოლოდ ის თუ მიჰმართავს, რომელიც სხვა ყოველსავე ღონეს ცხოვრებისას მოკლებული იქმნება უნარი არ ექმნება თავისის თავის შენახვისა და ქვეყნად თავის გატანისა. ეს სოფლის მასწავლებელთა სიბერის უზრუნველ-ყოფის საქმე ფრიად შესანიშნავი, თვალსაჩინო და დიდ-მნიშვნელობიანი საქმეა და რაც უფრო ჩქარა გადაწყდება საკეთილოდ, მით უფრო კარგია, მით უფრო საქმე ერთი ათად მოიგებს და იმატებს.

**

საზღვარ-გარეთის გაზეთებს ჩვეულებრივ ამბად აქვთ თითქმის გადაქცეული, მკითხველებს მიჰმართავენ ხოლმე და სთხოვენ რომელსამე საკითხის, ან საგანის შესახებ თავისის აზრის გაზიარებას. შემდეგ ამ სხვა-და-სხვა აზრს ერთად უყრიან თავს და ხმის უმეტესობით სწყვეტენ საგანს. ამას წინად ინგლისელი გაზეთი „London“-იც დაეკითხა თავის მკითხველებს, ინგლისელ რომანის მწერალთა შორის ვინ უფროა ყველაზედ სახელ-განთქმულიო. ორი კვირა მოსდიოდა პასუხები რედაქციას და სულ 11,370 კაცამდე გამოეხმაურა. 1,808 ხმამ პირველ თანამედროვე რომანების მწერლად იცნო მისს ბრედდონი, მეორედ—ვალტერ ბეზანტი, მესამედ—უიდა და სხ. ეხლა კიდევ ერთს ამერიკელს გაზეთს მიუმართავს მკითხველებისათვის და უკითხავს, ქალების შესახებ რა აზრისანი ხართო? აი ზოგიერთ გამოჩენილ კაცის აზრი ამ საგნის შესახებ:

რიან და სამუშაოდ, მამულის მოსავლელად შეჰყავთ სახლში. ასე იყო საათაბაგოშიც. აწინდელს დროს ზედსიძეობამ ხასიათი იცვალა. ფშავ-ხევსურეთში, მაგ., ზედ-სიძეს იმიტომ შოულობენ, რომ ქალს მემკვიდრეობა არ დაეკარგოს და ოჯახის მამული სხვის ხელში არ გადავიდესო[160]. სიძის შვილებულება ორ-გვარი იყო—წიგნით და უწიგნოდ. წიგნით შვილებულს სიძეს უფრო დიდი უფლება ჰქონდა. მაგალითებრ, გაყრის დროს მამულის ნახევარი იმას უნდა რგებოდა, თუმცა ეგრედ-წოდებულს საუხუცესოს მამულის პატრონს ვერ წაედავებოდა. წიგნით შესულს ზედ-სიძეს თავისი კერძო საკუთრებაც მოეპოვებოდა,—„შეტანილი და დახვეჭრებული თავთავისი გაიტანონო“ (მუხ. რნჱ) და ეს იმას ნიშნავდა, რომ თითოეულს საკუთარი მოძრავი ქონება აქვს, რომლის გაყოფა არ შეიძლებაო. უწიგნოდ შესულს ნაკლები უფლება ჰქონდა: პატრონის მამულზედ ხელი არ მიუწვდებოდა და გაყრის დროს მხოლოდ „შეტანილი და ქირნახული“ უნდა გაეტანა, ე. ი. თავისი მოტანილი ქონება და მონაგები. „შესმულ-შეჭმული“, სახლის საერთო დანახარჯი არ იანგარიშებაო (მუხ. რნთ).

სხვათა შორის, გაყრაც გვიჩვენებს, თუ როგორ იყო მოწყობილი საათაბაგოს ოჯახი. გაყრის ხასიათსა და თვისებაზეა დამოკიდებული ოჯახის თითოეულ წევრის პიროვნული და ქონებრივი უფლება. საზოგადოდ აღიარებულია, რომ საგვარეულო ცხოვრება ხელს არ უწყობს გაყრასა. ასე ყოფილა ძველად ყველგან, მაგ. ინდოეთში[161], ასეა ეხლაც ჩვენს მთაში[162]. ფეოდალობის დროს ევროპაში ხალხს უშლიდნენ გაყრას—პატარა ოჯახი დიდს ხარჯსა და გარდასახადს ვერ აიტანსო[163]. ჩვენი სჯულ-მდებელი ვახტანგიც გაყრის წინააღმდეგი იყო და ამ აზრით დააწესა ბატონის სასარგებლოდ „გასამყრელო“. რას ამბობდა ალბულა?—თუმცა ათაბაგი გაყრას არავის უკრძალავდა, მაგრამ ოჯახის განცალკევებაც არ მოსწონდა: შვილს ნება აქვს მამას გაეყაროს, მაგრამ „მამულისა გაყოფასა არას ემართლებისო“, „მან სხვა მოიგოს მამის სიკვდილამდისო“. რად არ შეიძლებოდა მამულის გაყოფა? მიზეზი აქ ისაა, რომ საათაბაგოს ოჯახი დიდი და მრავალწევროვანი ოჯახია (семейная община), რომელსაც მიუცილებლად საერთო და განუყოფელი მამული უნდა ჰქონოდა. ყველგან დიდი ოჯახობა საგვარეულო წყობილებისაგან წარმომდგარა და პატარა ოჯახი (малая семья) დიდისაგან გაჩენილა. განუყოფელი მამული მხოლოდ საგვარეულო წყობილებისა და დიდის ოჯახის ხვედრია. პატარა ოჯახს, სახლს იგი არ მოეპოვება. რადგანაც ალბულას დროს ოჯახი არ დაპატარავებულიყო, მამულის გაყოფაც არ შეიძლებოდა. სხვა გზით ვერ აიხსნება, თუ რატომ „შვილი მამულისა გაყოფასა არა ემართლებისო“. თითქო თითონ ალბულაც ამტკიცებს ჩვენს აზრს. მამულის გაყოფა ათაბაგს კერძო ჩვეულებად მიაჩნია,—„იქნების ალაგისა და გვარის წესი, რომ უმცროს მამულოვნებით გაიყვანენ, თუ ცოლსა შეირთავსო“ (მუხ. ნ). მაშასადამე, მამულით გაყვანას საზოგადო წესი უკრძალავდა და ამას იმიტომ-რომ დიდი ოჯახი შეადგენდა საზოგადო შინაურს წყობილებას, რომელიც მამულის გაყოფას უარ-ჰყოფს. ვახტანგ-სჯულმდებელი თანაუგრძნობდა დიდ ოჯახობას და გაყრაც ამ მიზეზით გაძნელა. მაგრამ იმის დროს დიდი ოჯახი საზოგადო წესი აღარ ყოფილა და მხოლოდ სანატრელ საგნად გარდაქცეული. საათაბაგოს სამართალი ცხადად ამტკიცებს, რომ რაც შემდეგში სანატრელი შეიქმნა, ის წინად ცხოველს ჩვეულებას შეადგენდა.

გაყრის დროს, უფროს ძმას, საკუთარ წილს გარდა, ცალკე საუხუცესოც უნდა მიეღო. საუხუცესო, რომელიც ეხლაც იციან სვანეთსა და ფშავ-ხევსურეთში[164], ძველადვე ცნობილი საძმო წილია. ჯერ ისევ ინდოელებისა და ირანელების სჯული აწესებდა, უფროს ძმას საუხუცესო ერგებაო, და ამბობენ კიდეც, ვითომ ირანელებმა გადმოგვცეს ქართველებს საუხუცესო[165]. გადმოცემაზედ ვერას ვიტყვით, მხოლოდ ეს-კია, რომ საუხუცესო ძლიერ შორეულს დროს ეკუთვნის და დასაწყისი ასეთს ჩვეულებაში უძევს, რომელიც საყოველთაოა. ასეთს ჩვეულებას შეადგენს ეგრედ წოდებული წინაპართა თაყვანის ცემა (Культъ предковъ). ყველა ისტორიულ ერს თავისი წინაპრები ოჯახის მფარველად აღიარებული ჰყოლია. უფროსის ძმის საქმე და საღმრთო ვალი ყოფილა ეზრუნა ოჯახის საკეთილდღეოდ. ხოლო ამისათვის საჭირო იყო წინაპართა პატივისცემა, მათი სულის მოხსენება. საუხუცესოც ამიტომ ეძლეოდა უფროსს ძმას[166]. რადგანაც წინაპართა თაყვანისცემა საზოგადო ჩვეულებაა[167] და ძველ დროს ქართველებიც მისდევდნენ ამ ჩვეულებას[168], შესაძლოა საუხუცესო თავის-თავადაც გაჩენილიყო საქართველოში. ყოველ შემთხვევაში, საათაბაგოს საუხუცესოსა განსხვავებული ხასიათი და თვისება ჰქონდა. ჯერ ერთი, რომ იგი ყველა ოჯახისათვის სავალდებულო არ იყო: „თუ არა ოდეს ქმნილა გვარსა შიგაო“ (მუხ. ნ.). ეს ნიშნავს, რომელსამე გვარს შეიძლება საუხუცესო ჩვეულებად არა ჰქონდესო. როგორც „უმცროსის მამულოვნებით გაყვანა“, ისე საუხუცესო «ალაგისა და გვარისა წესს» შეადგენდა. მეორედ, ინდოელების სამართალი, რომელიც ახლო სდგას ძველ სპარსელების სჯულზე, აღნიშნავს საუმცროსოსაც. ალბულა-კი საუმცროსოს არ იხსენიებს[*]. საათაბაგოს საუხუცესო სამგვარია და თითოეული ცალკე განმარტებული: დიდებულს „ერთი უკეთესი სოფელი საუხუცესოდ“ (მუხ. რნე.), ხოლო „გლეხიანს მარტო ერთი გლეხიო“ (მუხ. რნდ) გლეხიანი აზნაურსაც ეთქმოდა და, ჩვენის აზრით, გლეხიანის საუხუცესო სააზნაურო იყო. გლეხს საკუთარი საუხუცესო ჰქონდა—«უხუცეს ძმასა ან თავი სახლი, ან ერთი ვენახი, ან უფროსნი ჭურნი საუხუცესოდაო“ (მუხ. რნვ) ცხადია, საათაბაგოში საუხუცესოც „გვარისა ზედა“ დაფუძნდა და წოდებრივი ფერი დაედო.

ოჯახს, მამულს გარდა, მონაგებიც ჰქონდა. იგი ოჯახის წევრის კერძო საკუთრებას შეადგენდა—„მონაგები თავ-თავისი გაჰყვესო“. სხვათა შორის, ამითი განირჩეოდა მონაგები მამულისაგან. მაგრამ თუ ერთს ძმას „მონაგები მეორეს გულისათვის დაეკარგოდეს“, მაშინ ვისაც მონაგები დარჩენია, მეორეს შუაზედ გაუყოსო (მუხ. რნდ). ალბულა მონაგებს აღწერს მხოლოდ დიდებულისა და გლეხიანის გაყრაში და არას ამბობს, როგორ იყოფდნენ გლეხები თავიანთ მონაგებს. მამულისა და მონაგების განსხვავება ამტკიცებს, რომ საათაბაგოშიაც საოჯახო ქონებრივი დამოკიდებულება და ურთიერთობა საზოგადო კანონისამებრ აღორძინდა. სულ

---

[160] Зак. и Об. на Кав. II. 90—1, 115.

[161] Первобытное Право, I. 46—52.

[162] Зак. и Об. на Кав. I. 38.

[163] Первобытное Право, I. 40—41.

[164] Зак. и Об. на Кав. II. 54—5, 91—115.

[165] ibid. I. 171—3.

[166] Совр. Об. и Др. Зак. I. 324—6.

[167] Мэнъ, гл. III и IV, Культъ предковъ.

[168] როგორც მატიანეც ჰმოწმობს, „მტკიცე და უფროსი საფიცარი მათი იყო საფლავი ქართლოსისა“ ქ.-ც—ბა, I. გვ. 21.

[*] ვახტანგი ამბობს, გაყრაში არისო: საუფროსო, საუმცროსო და საშუალო, მუხ. რ. მნიშვნელობა თითოეულისა ნახ. Сов. Об. и Древ. Зак. I. 324—39.

გარეშე საქმეთა მინისტრმა ბლენმა უპასუხა თურმე, რომ მე ძალიანა მძულს ის ქალები, რომელნიც პოლიტიკაში ერევიან და კრებებზედ მჭევრ-მეტყველობენო, მაგრამ ნამდვილი ქალური ქალი-კი, ნაზი, კდემა-მოსილი, დიდად ძვირფასი განძია ამ ქვეყნადაო. ასეთივე აზრი წარმოუთქვამს ამერიკელს საუკეთესო ორატორს დეპიუს. ჰალსტედს, პოლიტიკოსს, მოუწერია, რომ ქალი უმეტესად სჯობნის კაცს, მხოლოდ ღონით ჩამორჩებაო. ბანკის პატრონ ჰენრი კლიუზის აზრით, ქალები უმეტესად გამოსადეგნი არიან, საფინანსო საქმეთა გარდა. გამოჩენილი პუბლიცისტი ინგერსოლე იმ აზრისაა, რომ ქალის ზოგიერთი სუსტი თვისება იმიტომ არის ისე აშკარა და ცხადი, რომ თავისის კარგის თვისებით ბევრად აღემატება კაცს და იმისი დანახვა და დაფასება არ შეუძლიანთო. სტენლის, რომელიც აქამდე ძალიან გულ-ცივად ეპყრობოდა ქალებს და რომელმაც დიდი ხანი არ არის, რაც ცოლი შეირთო, უთქვამს, რომ ჩემს დღეში არ მინახავს ისეთი ქალი არც აფრიკის პაჭუა ზანგ და არც ნიუ-იორკის ლამაზ დედაკაცებ შორის, რომ არ განენათლებინოს ბნელი ცხოვრება მუშაკისა, გაქვავებული და კაჟად ქცეული გული არ მოელბოს და ღონე-მილეული კაცი არ გამოეპრუნებინოს, არ გაემხნევებინოსო. რომანების მწერალს სტივენსონს პირდაპირ გამოუცხადებია, რომ ყოველთვის ჭირივით მძულდა და მძულს ქალები, იქნება იმიტომაც, რომ მე იმათ ვერც თავი გავუგე და ვერც ბოლოო.

ასე ულაპარაკნიათ ამერიკის შესანიშნავ კაცებს და ეხლა ქალებისთვის მიგვინდვია, იმათ გაარჩიონ, ვინა სტყუის და ვინ ჭეშმარიტებასა ჰქადაგებს.

◆◆

რუსეთი

— „Одесскій Вѣстникъ“-ი მოგვითხრობს ერთს შემაძრწუნებელს ამბავს, რომელიც ამ ხანად ბენდერის მაზრის სოფელ კურიეტლუშიში მომხდარა. 27 იანვარს გარიჟრაჟზე ამ სოფელში ცოფიანი მგელი გაჩენილა, მივარდნია ძაღლებს, 9 ძროხა და 18 ცხვარი დაუკბენია და შემდეგ ქოხის კარებსაც მისდგომია. ძაღლების ყეფა-წკმუტუნი, ძროხებისა და ცხვრების ბღავილ ბღუილი ერთმანეთში საზარლად არეულა. მთელი სოფელი ფეხზე დამდგარა, მაგრამ ვერავის გარედ გამოსვლა ვერ გაუბედნია. საზოგადოდ შიშსა და ცახცახში მხოლოდ ერთს მწყემსს, გიორგი ჩებანს, არ დაუკარგავს გონება, გარედ გამოვარდნილა და თავის საუნჯის, ცხვრებისათვის მიუშურებია. ამ დროს საბრალო ჩებანს საშინელი მხეცი სწვდება თურმე პირის სახეში და ცალს ლოყას ერთიანად მოაგლეჯს, შემდეგ ჩებანის ხელსაც ჩაიგდებს პირში და უწყალოდ ღრღნის. მხეცის საზარელს ღმუილზე და ადამიანის სასოწარკვეთილსა და გაწირულს ყვირილზე გამოვარდება გარედ გიორგი დიაკოვი. დაინახავს რა, რომ მისი მეზობელი ასეთს საშინელს მდგომარეობაშია, დიაკოვი არც-კი დაფიქრდება, სწვდება მგელს უკანა ფეხებში და უნდა მოაშოროს მსხვერპლს. გაავთრებული მხეცი სტოვებს თავისს პირველს მსხვერპლს და მივარდება ახალს—დიაკოვს. მხეცსა და ადამიანს შორის ბრძოლა თითქმის 15 წუთამდე გრძელდება. რასაკვირველია, ადამიანი მხეცის გაორკეცებულსა და გაოთხკეცებულს სიმხეცეს ვერ უძლებს, არაქათი ელევა, ღონე უწყალდება და რაც ძალა და ღონე აქვს ყვირის, შველას თხოულობს. ამ დროს სისხლში მოსვრილი ჩებანი გულ-წასული გდია მიწაზე. მახლობელის ქოხიდგან გამოდის ხელ-ღონეარი და მოხუცი ვაჟკაცი ილია მიხნი, რომელიც შეუპოვრად მივარდება მგელს, რომ დიაკოვი როგორმე იმას კლანჭებიდგან დაიხსნას. ერთის თვალის დახამხამებაზე მგელი ეხსნება დიაკოვს და იმას მაგივრად იგდებს კლანჭებში მიხნის, რომელიც არ ჰკარგავს გონებას და მამაცურად ებრძვის მხეცს, მაგრამ მიხნის მგელთან გმირულად შეტაკების შედეგად ის მოჰყვება, რომ მიხნის ზემო ტუჩები, რამდენიმე ყბის ნაწილი და 4 კბილი რჩება მგლის კლანჭებში. ამ საშინელს მდგომარეობაშიაც მიხნი არ იხევს უკან და იმდენს მოახერხებს, რომ მგელს დაიჭერს ყურებით. ამ დროს დიაკოვი და ვიღაც ერთი გლეხი მივარდებიან მგელს კეტებით და მოჰკლავენ. დაშავებულთ თავდაპირველი შემწეობა მაშინვე აღმოუჩინეს და შემდეგ ოდესის საბაქტერიოლოგიო სადგურში გაგზავნეს ცოფის ასაცრელად.

— ბესსარაბიელ მემამულეს, სამსახურ გარეშ მყოფს პოლკოვნიკს კ., 1875 წელს, როცა იტალიაში იყო, მიუგდეს ახლად დაბადებული ბავშვი-ქალი, რომელთანაც ბარათი იყო: „გთხოვენ აღზარდოთ და თავ-შესაფარი გაუჩინოთო“. კ. დაბრუნდა რუსეთში და ბავშვი მართლ-მადიდებელთა წესით მოანათვლინა. ამას შემდეგ კ. თავის მამულში სცხოვრებდა და არსად არ მიდი-მოდიოდა, მაგრამ ხშირად უსახელო წერილებს ღებულობდა, რომელშიაც თხოულობდნენ, გვაცნობეთ ბავშვის მდგომარეობა ამა და ამ მილანელ გაზეთის საშუალებითაო. კ. ამის წინააღმდეგი არ იყო და ბავშვის ყოფა-მდგომარეობის შესახებ ცნობას ჰბეჭდავდა დანიშნულს გაზეთში 1882 წლამდე. გაიარა ხანმა, ბავშვი გაიზარდა, კარგი განათლება მიიღო და ბოლოს კ. კიდეც იშვილა, მაგრამ ერთს მშვენიერს დღეს, წარსულს შემოდგომაზე, კ. მილანელ ნატარიუსისაგან წერილი მოუვიდა, რომ თქვენ მიერ ნაშვილევის ქალის მშობელნი ხუროთ-მოძღვარი პ. და იმისი ცოლი გთხოვენ თავიანთი შვილი უკანვე დაუბრუნოთ, თქვენ ამას უეჭველად იქთ, რადგანაც მეტად კეთილშობილის ხასიათის კაცი ბრძანდებით; თუ მაინცა და მაინც უარზე დადგებით, ბავშვის მშობელნი მზად არიან გიზღონ ის ხარჯი, რაც იმათის შვილის აღზრდასა და განათლებაზე დაგიხარჯავთო. კ. ამ წერილთან ერთად წერილის შინაარსის დამამტკიცებელი საბუთებიც მიუვიდა, მაგრამ ნაშვილევის თავიდამ მოშორება მეტის-მეტად დაენანა, ამასობაში მშობელნიც თავისას არ იშლიან და დაჟინებით თხოულობენ თავიანთ ქალს უკან. შესაძლოა ყველა ამის გამო საქმე სასამართლოს ჩაუვარდეს ხელში, მაგრამ, როგორც „Одесскій Вѣстникъ“-ი ამბობს, მილანელს ვექილს იმედი აქვს თურმე სასამართლომდე არ მიიყვანოს საქმე და მორიგებით გაათაოს.

◆◆

წვრილი ამბები

ამას წინად პენსილვანიაში ერთი იქაური მღვდელი საპყრობილეში დაუმწყვდევიათ. მიზეზი მღვდლის დატუსაღებისა ის ყოფილა, რომ ამ მღვდელს ჯვარიმა არ გადაუხდია ერთის გასათხოვარ ქალის სასარგებლოდ, რომელსაც შეჰპირებია ცოლად შეგირთავო და შემდეგ თავის დაპირებას გადასულა. თუმცა მღვდელი შეძლებულია და სამი ათასის დოლარის გადასხდას ადვილად მოახერხებდა, მაგრამ რომ დედათა შორის ანგარება არ გაძლიერდესო, ჯარიმის გადახდას საპყრობილეში ჯდომა არჩია. ნიუ-იორკელი გაზეთები ამბობენ, რომ ეს მღვდელი საპყრობილეში ძალიან კარგად ატარებს დროებას, აუარებელი ქალები მიდიან საპყრობილეში თავიანთის მოძღვრის სანახავად და საუკეთესო სასმელ-საჭმელსა და ყვავილებს სძღვნობენ, რომ როგორმე დატყვევებული მოძღვარი გაართონ ამ უბედურობის დროსო. მღვდელს საპყრობილის საუკეთესო ოთახი აქვს დათმობილი, და არავითარი დამოკიდებულება სხვა ტუსაღებთან არა აქვს. ამასთანავე საპყრობილის ზედამხედველის მიერ დიდად პატივცემულია. საზოგადოდ ტუსაღი მღვდელი საპყრობილეში ყოფნისათვის არა თუ არა სწუხს, პირ-იქით, ის ენანება, რომ დამწყდევის დრო დიდხანს არ გასტანსო.

— ამას წინად ბირმინგამში მეკუბოეებმა პირი შეჰკრეს და კუბოები აღარ გააკეთეს. ამის გამო ამ დროს ბირმინგამში სიკვდილი ძნელი იყო, რადგანაც რაც კუბო იყო სულ გაიყიდა, და ახლად გარდაცვალებულთა დამარხვა საძნელო გახდა. კარგი იქნებოდა, რომ მეკუბეთა პირის შეკვრას შედეგად მომაკვდავთა პირის შეკვრაც მოჰყოლოდა.

— მაინის ფრანკფურტს ერთის ხუმალდის სარდაფში უპოვნიათ 1584 წლის საფოსტო ამანათი, რომელშიაც 175 დაბეჭდილი და ხელ-უხლებელი წერილი ყოფილა. როგორც წერილების წარწერიდამ სჩანს, ყველა ეს წერილი იტალიიდამ ნიდერლანდიაში უნდა გა-

---

ძველად ყველგან მამული და მონაგები გვარის საერთო საკუთრება ყოფილა [169], მაგრამ როცა საგვარეულო წყობილება მოსპობილა, წინად მონაგები განკერძოებულა და განცალკევებულა. ეხლაც ჩვენს მთის ხალხს მონაგები ოჯახის საერთო საკუთრებად მიაჩნია და თუ ასე იყო საათაბაგოში, ამის მიზეზი ისაა, რომ იქ ოჯახს საგვარეულო დრო განვლილი ჰქონდა...

ანდერძი უფრო ასაბუთებს ჩვენს აზრს. სჯულ-მდებლობის ისტორია ამბობს, ანდერძი მაშინ გაჩნდა, როცა ოჯახში ადამიანმა თავისუფლება შეიძინა და სურვილისამებრ შეეძლო მამული თუ მონაგები სხვისათვის გარდაეცა. პირველ ხანებში, როცა გვარი მეფობდა და ბძანებლობდა, ანდერძიც საგვარეულო ყოფილა და საოჯახო ქონება მხოლოდ გვარს ეანდერძებოდა. შემდეგ ჩვეულება შეიცვალა. ჯერ მონაგებისა და მერე მამულის ანდერძით გადაცემა, გვარს გარდა, სხვაზედაც შესაძლო შეიქნა. სასულიერო წოდებამ მოახდინა ეს ცვლილება [170]. საათაბაგოშიაც ანდერძი საზოგადო გზით ულია. პირველად, რომ იქაც ანდერძს არა რაიმე დაბრკოლება წინ არ ეღობებოდა,— „სიკვდილისა შემდგომად-ღა იქნების მტკიცე და დასტურებული“, „სიცოცხლესა შინა ორივე ხელეწიფების: გინა მოშლა, გინა გათავებაო“. რასაკვირველია, ყოველივე ეს მარტო მონაგებს-კი არა, მამულსაც შეეხებოდა და საყურადღებოა, რომ ეხლაც აჭარაში სახლის უფროსს ნება აქვს საგვარეულო მამულიც-კი სხვას გარდასცეს და მემკვიდრენი მშრალზე დასტოვოს [171]. მეორედ, საათაბაგოს ანდერძიც სასულიერო წოდების საქმე ყოფილა,— „ნაბრძნობილ არს წმიდათა მამათა სჯულთა სამოძღვრებლადაო“ (მუხ. ნჱ.), დასძენს ალბულა. მართალია, ათაბაგი „წმიდათა მამათა“ ასახელებს, მაგრამ ქრისტიანობის წინად, კერპობის დროს, ქართველებსაც ჰყავდათ ქურუმნი, რომელთაც საპატიო და თავი ადგილი ეჭირათ ცხოვრებაში [172]. ამ ქურუმთა გავლენა და ანგარება ცნობილია და ამიტომ საბუთი გვაქვს დავასკვნათ, რომ ანდერძი იმათ დააარსეს თავიანთ სასარგებლოდ და გვარს გამოჰგლიჯეს მამული და მონაგები...

საათაბაგოში სამამულო დამოკიდებულება მოწყობილია ფეოდალურად. წოდებრივი ურთიერთობა მამულის ჰერაზედ დამყარდა და ვასალი თავისის მამულით პატრონის ხელთ იყო. ძალა და უფლება პატრონს ეკუთვნოდა და როცა პატრონი—ეს ევროპიელის ჯურის სენიორი—ვისმე მამულს უბოძებდა, პირობასაც ართმევდა—მემსახურეო, როგორც თითონ ვალდებული იყო სამსახური გაეწია სიუზერენისთვის. ასეთმა ურთიერთობამ მამულსაც თავისებური ხასიათი დააჩნია, თუ მამულის მქონე სამსახურზე უარს იტყოდა და ან რასმეს დააშავებდა, პატრონს უფლება ჰქონდა მისთვის მამული ჩამოერთმია. ალბულა ამბობს, თუ ვინმე შეასმინეს პატრონსა, მაშინ ამ უკანასკნელს ნება აქვს დამნაშავეს მიაყენოს „მორბევა, მამულის წაღება და გაძევება და დიდხანს ღარიბობას ყოფა და ბედითად სიარულიო“ (მუხ. მა). კერძოდ ჯაყელსა და მაწყურელს სამართალი ავალებს, თუ დიდებულმა დიდებული მოჰკლას და „ვერ ამოუვიდეს და გარდაიხვეწოს, მამული პატრონსა აქონდეს ჯაყელსა და მაწყურელსაო“ (მუხ. ბ). აზნაურზე ნათქვამია, თუ „ვერ ამოუვიდეს და გარდიხვეწოს, მამული აგრევე პატრონმა დაიჭიროსო“... (მუხ. ე). ერთის სიტყვით, „პატრონო“—ეს საათაბაგოს ფეოდი—პატრონს ეკუთვნოდა და მამულის ბოძებასა და ჰერას ზედ მოსდევდა მორჩილება და ერთგული სამსახური. ევროპიელ სენიორს თავის ფეოდში ყველაფერი ეკითხებოდა, იგი ბატონიც იყო და პატრონიც. ასეა საათაბაგოშიაც. როცა დიდებული ან სხვა ვინმე აზნაურს „გაუპატიოებდა“, პატრონს უნდა მიეცა პასუხი დამნაშავისთვის და თუ არ მისცემდა, სისხლი ეზღო და დაეკმაყოფილებინა თავისი „გაუპატიოებული“ აზნაური (მუხ. ლე). მაგრამ ფეოდალური აგებულება მხოლოდ გარეგანი სახე იყო სამამულო ურთიერთობისა. სულ სხვაა ამ ურთიერთობის შინაგანი აგებულება.

ჯერ ისევ სტრაბონმა აღნიშნა, იბერიაში მამული საგვარეულო და მიწათ-მოქმედნი საკუთარს წოდებას შეადგენენო [173]. არიელ ერთა ჩვეულება თხოულობდა, მიწა საგვარეულოდ ჰქონოდათ და ეხმარათ [174]. საქართველოშიაც სულ პირველად ასეთი სამამულო წყობილება არსებობდა. ჟამთა ვითარებამ შესცვალა ძველებური მიწის ჰერა და აწინდელს დროს მხოლოდ მთაში მოიპოვება პირვანდელი სამამულო წყობილება, მაგ., ხევსურეთში ხატის მიწა და ტყე საგვარეულო საკუთრებაა [175]. რაკი საათაბაგოს განვლილი ჰქონდა საგვარეულო ცხოვრება, მამულის საქმეც სხვაფრივ იყო მოწყობილი. ალბულა არც-კი ამბობს, მამულის დასაკუთრება და ხმარება საგვარეულოდ შეიძლებაო, იგი აღნიშნავს მხოლოდ სახლის, ოჯახის მამულს. ამ მამულში ყველა ერთ-სახლიანს თანასწორი წილი აქვსო. მაშასადამე, მამული საოჯახო და კერძო საკუთრებას შეადგენდა და არა საგვარეულოს. სწორედ მამულის ასეთმა თვისებამ დაჰბადა თავისებური ბოროტ-მოქმედება, რომელსაც სამართალი დაჭერას უწოდებს. დაჭერა ნიშნავდა სხვის მამულის დაჩემებას, დაპატრონებას. როგორც სჩანს, იგი დაჭერა მეტად გახშირებულა საათაბაგოში და სჯულმდებელი ამ „ჟამთა სიავესა“ სასტიკს ყურადღებას აქცევს. შესანიშნავია, რომ აჭარაში ეხლაც მამულის დაჭერა იშვიათი ამბავი არ არის და ბევრჯელ სისხლის ღვრასაც ჰბადავს [176]. ალბად ეს ბოროტ-მოქმედება ძველადგან დარჩენილა. ყველა წოდებას სჭირებია ეს სენი და ალბულაც საყოველთაოდ აწესებს,—თუ ვინმე სხვის მიწა დაიჭიროს, „ოდესცა სამართალი იშოვნოს, ნაჭამითა დაუდეს იგი ადგილი მან კაცმანო“ (მუხ. ნბ), ე. ი. მიწაც დაუბრუნოს და რაც შემოსავალი უჭამია, ისიცაო. დაჭერისაგან განსხვავდებოდა ეგრედ წოდებული სამამულოს შევედრება, რომელიც ნებაყოფლობით მამულის მიცემასა და თხოვებას ჰნიშნავდა. ალბულა მარტო გლეხზედ ამბობს, მამული შევედროსო, და ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც მხოლოდ გლეხს ადგა გაჭირვება უმამულობის გამო. სამამულო შევედრებაც შეიძლებოდა ბოროტებად გადაქცეულიყო. ეს მაშინ, როცა „შევედრებული შეუმაგრდეს და აღარ მისცეს“. ამ შემთხვევაში შევედრებასაც ის მოსდევდა, რაც დაჭერას—„ოდესცა სამართალმან დაადებინოს, ნაჭამითა მისცესო“. შევედრებულს მამულს, რასაკვირველია, კარგი მოვლა ესაჭიროებოდა და მოვლას კიდევ ხარჯი უნდოდა. როცა მამულს უკანვე დაუბრუნებდნენ პატრონს, შემვედრებელს რაც მამულის მოვლაზე დაუხარჯნია, ის „ნაჭამში“ ნუ მიეთვლებისო (მუხ. ნდ), დანახარჯს ნუ მისცემსო.

---

[169] Совр. Об. и Др. Зак. I. стр. 119—21. შეადარე Первобытное Право I. 49.

[170] ibid. 51—2.

[171] Арх. пут., стр. 65.

[172] „Извѣстія...“ Гана, 68.

[173] ibid. საკვირველია ასე დიდად რად სცდება ბ-ნი კოვალევსკი, როცა ამბობს, ვითომ სტრაბონი ჰმოწმობდეს, რომ ქართველნი, იმის დროს, უბინადრო ერი, ველნი ყოფილიყვნენ. Зак. и Об. на Кав. I, 57. სტრაბონი სულ სხვა ამბავს გარდმოგვცემს და აღნიშნავს, იბერიაში ერი ოთხ წოდებად დაიყოფება და მესამე წოდებას შეადგენენ მეომარნი და მიწათმოქმედნიო, Ганъ, „Извѣстія...“, стр. 68.

[174] Первобытное Право, I. гл. 1.

[175] Зак. и Об. на Кав. II. 106—9.

[176] Арх. Пут., стр. 49.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზავნილიყო. წრილეში ბერლინის საფოსტო მუზეის გადასცეს და ყველა საისტორიო მასალის მსწავლულს მკვლევარს ნება აქვს წაიკითხოს.

— ნიუ-იორკში ფონოგრაფის მეოხებით კონცერტი გაუმართავთ. ამ ნაირად დამსწრე საზოგადოებას მოუსმენია ყველა გამოჩენილ მომღერალის საუკეთესო ხმები. თუ ამ გვარ კონცერტთა გამართვა ჩვეულებად შემოიღეს, ხელმოკლესა და ღარიბს ხალხს გაუადვილდება პატტის, რუშკეს და სხვა შესანიშნავ მომღერალთა სიმღერის მოსმენა.

— გაზეთებმა ხმა გაავრცელეს, რომ მომავალს წელიწადს სპარსეთის შაჰი ქვეყნის გარშემო მოგზაურობას აპირებსო.

— ბარცელონაში, როცა ამერიკის აღმოჩენას შემდეგ 400 წელი შესრულდება და დღესასწაულს გადიხდიან, ლამაზ ქალნი სილამაზეში ერიერთმანეთს უნდა გაეჯიბრონო.

— გაზეთ „Gaulois“-ი ამბობს, რომ ჰერცოგინია დე-ლა ტორრეს ბაღში უპოვიათ 3.400,000 გირვანქა სტერლინგი, რომელიც ჰერცოგინიას პაპას დაუმარხავს მიწაში.

— ამას წინად ერთს ინგლისელს ამერიკელისათვის 32,500 ფრანკად მიუყიდნია მაღლი. პირველი მაგალითია, რომ ასე ძვირად ოდესმე მაღლი გაეყიდულიყოს.

◆◆

დეპეშა

10 თებერვალი

პარიჟი. საფრანგეთის მთავრობამ, რუსეთის მთავრობის თხოვნით, ნება დართო, რომ დაუყოვნებლივ გაატარეთ საფრანგეთის სამფლობელოში მეწამულს ზღვაზედ პორუჩიკი მაშკოვი, რომელსაც საგეოგრაფიო საზოგადოება ჰგზავნის აბაშეთში სამეცნიერო აზრითაო.

ათინა. დღეს აქ მოვიდა დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე.

11 თებერვალი

პეტერბურგი. დღეის შემდეგ, ვიდრე ხელ-ახლად შეიცვლებოდეს, სახელმწიფო ბანკი აიღებს პეტერბურგში სარგებელს: ექვს თვიან ვექსილზე $4^1/_2$, ექვს თვიანზე მეტზე და არა უმეტეს ცხრა თვიანზე 5-სა და სარგებლიან ქაღალდით ნასესხზე $5^1/_2$ წლის ანგარიშის კვალობითა.

ვარშავა. ნაოფიცრალს ბარტენოვს, რომელსაც არტისტი ქალის ვისნოვსკის მოკვლაში ბრალი ედებოდა, ადაუწყვიტეს ყოველივე ღირსების ჩამორთმევა, 8 წლით კატორგა და შემდეგ სამუდამოდ ციმბირში დასახლება.

ათინა. დედოფლის საგვარეულო წევრნი და რუსეთის მისსია დიდს მთავარს გიორგი ალექსანდრეს ძეს შეხვდნენ პირეიაში.

კაირი. ოსმან-დიგმა კასსალში გადიხვეწა.

პეტერბურგის ბირჟა, 8 თებერვალი

	მყიდველნისა.		გამყიდველისა.		გაყიდულისა.	
	მან.	კ.	მან.	კ.	მან.	კ.
ხუთ-მანეთიანი ოქრო	—	„	—	„	6	85
ტამოჟნის კუპონები	—	„	137		$136^1/_2$	
მანეთიანი ვერცხლის ფული	1	06	1	08	—	„
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	$226^1/_4$		—	„	—	„
—მეორისა	$226^1/_4$		—	„	—	„
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი	$212^1/_4$		—	„	—	„
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა	—	„	—	„	—	„
ქუთაისის ბანკისა	—	„	—	„	—	„
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	—	„	—	„	—	„

ალბულა საკმაოდ ერცლად აღწერს სამამულო საქმესა და თავის ადგილას ამ საგანს ჩვენც განვმარტავთ. აქ დავსძენთ, რომ საათაბაგოში მამულს დიდი პატივი ედვა. ალბულას ერის ბურჯად მამული მიაჩნდა და ღონისძიებასაც უჩვენებდა, კაცი უმამულოდ არ დარჩენილიყო. მაგალითებრ, ათაბაგი ამბობს, მამულის პატრონს ვალში რომ მამული გაეყიდოს, გაყიდვის დროს ფასს „ჩამოუშვებენ“, ნაკლებად დააფასებენ, იქნება ისევ პატრონს დარჩეს, და ამას იმიტომ, რომ „ქვეყანაცა არა ამოსწყდებისო“ (მუხ. ქვ). ღირსშესანიშნავია, რომ საათაბაგოს ძველებური ჩვეულება აქამომდე ხელ-უხლებლად დარჩა აჭარაში. ცხლაც მოვალე აჭარელს ვალში მამულს ვერ გაუყიდის და ვალი შრომითა და მუშაობით უნდა გადაახდევინოს, თუ არა-და — მარტო სახლი და საქონელი გაუყიდოსო[177]). დანარჩენ საქართველოშიაც მდაბიო ხალხი თითქმის თაყვანსა სცემს მამულსა და დიდად-დიდი საჭიროება უნდა იყოს, თუ გააბედვინებს გლეხს მამული გაჰყიდოს. მხოლოდ ძველ ფეოდალთა მთამომავლობას ამ ბოლო დროს დაავიწყდა მამა-პაპეული ჩვეულება...

მამულის პატივმა განსაკუთრებული ხასიათი დასდო ხანის გამოსვლას (давность). რომაელთა სამართალი აწესებდა, ხანის გამოსვლით შეიძლება სხვის მამული კაცმა დაისაკუთროსო[178]). აწინდელ ევროპიელების სამართალიც ამას ამბობს. ხანის გამოსვლა არ არსებობს, როცა სამამულო ურთიერთობა დაბალ წერტილზე სდგას და განუვითარებელია, როგორც, მაგ., სხვანეთსა და ხევსურეთშია[179]). თუმცა საათაბაგოზე ეს არ ითქმის, მაგრამ იქაც ხანის გამოსვლას ძალა და მნიშვნელობა არა ჰქონდა, — „თუ კაცსა კაცისა მამული ჰქონდეს ანუ პატრონებისა საქმისაგან და ანუ სხვის რისამე ქამისა მოგვარებისაგან... ხანის გამოსვლისათვის უსაქმობასა არავინ ემართლებისო“ (მუხ. მგ). ალბულამ იცოდა, თუ რა ძნელი და მავნებელია უმკიდრო კაცის ცხოვრება, და ხანის გამოსვლა უარ-ჰყო. ეხლა აჭარაში ათ წლიურის ხანის გამოსვლა მოქმედობს[180]), მაგრამ ამის მიზეზად უცხოელი სამართალი შეიქნა. ათაბაგმა-კი მხოლოდ ის დაადგინა, რომ ხანის გამოსვლით გლეხს შეუძლიან თავისუფლება შეიძინოს, კაცმა სხვის სასაქონლო დაისაკუთროს და არა მამულიო.

ნ. ურბნელი

(შემდეგი იქნება)

---

[177]) Арх. Пут., 65.

[178]) Р. Зомъ, 161—3, 190—2.

[179]) Зак. и Об. на Кав. II. 57, 100, 101.

[180]) Арх. Пут., 65.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის. სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდაი და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ჯადაზე გემები.

განცხადებანი

ა. როინაშვილი

ყიდულობს ყველა ნაირს მველებურს

ნივთებს

აგრეთვე მოიწვევს ხელოსანს ქალებს, რომელთაც შეუძლიანთ მველებურის ხელოვნებით ოქრო-მკედით და აბრეშუმის მაფეულობით კერვა ფარჩაზედ: ბაფთებისა, სუზნებისა, თახჩის ფარდებისა, და სხვა. უმორჩილესად ვსთხოვთ მობრძანდნენ და მიიღონ საქმე კარგს ფასად ერევნის მოედანზე, ხარაზოვის სახლებში, როინაშვილის ფოტოგრაფიაში.

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს — Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

(40—32)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას მოუვიდა მესამე და უკანასკნელი ნაწილი:

ქართული-რუსული

ლექსიკონი

დ. ჩუბინაშვილისა

ფასი 2 მან.

რუსული ლექსიკონი, ე. ი. სამივე ნაწილი ერთად ღირს 8 მან.

კერძო ექიმი

პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნეკრესის სნეულებას, ნეკრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებას და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პოპოვისა, ვორონცოვის ნომრების პირდაპირ.

(10—5)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

12 თთვით. . .	10 მ. — კ.	6 თთვით . . .	6 მ. — კ.
11 „ . . .	9 „ 50 „	5 „ . . .	5 „ 25 „
10 „ . . .	8 „ 75 „	4 „ . . .	4 „ 70 „
9 „ . . .	8 „ — „	3 „ . . .	3 „ 50 „
8 „ . . .	7 „ 25 „	2 „ . . .	2 „ 50 „
7 „ . . .	6 „ 50 „	1 „ . . .	1 „ 75 „

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უცხოსნუნელი გვერდი 30 მანეთი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანეთი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება ამის კვადრატით, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციას ხელმოწერილზედ უნდა გამოეგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დაბეჭდილი ხელ-ნაწერები, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას აღარ მოეთხოვება.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დაბეჭდილთა ხელ-ნაწერებისას და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირადპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

სასტუმრო „ნემეცურ ბაღ“-ში (უწინდელი მასიელის)

მიხეილის ქუჩაზე

გვაქვს ძალიან სანთო, დიდი და მოხერხებული დარბაზი სადაც შეიძლება გაიმართოს წარმოდგენები, რისთვისაც სცენაც არის მოწყობილი, ქორწილები და ყოველ გვარი მეჯლისი. ამეებისათვის იქვე ემზადება ყოველსავე საჭირო საჭმელი. სამზარეულოში საუკეთესო სანოვაგე გვაქვს, ახალად მოტანილი. ფასები ზომიერია. სახლებშიაც შეიძლება სადილისა და ვახშმის გაგზავნა.

(4—4) პატრონი ძნელაძე

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

„ისტორიული ნარკვევი“

ანუ

ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის

შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ

ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—რაქლი რამიშვილთან, ოზურგეთში—თავართქილაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ჭილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.

Тифлисъ, Дсв. цен. 11-го Февраля 1891 г. Типографія Я. А. Мансвѣтова, на Лорисъ-Мелик. ул. домъ Мдивани. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.